პუტინი: "ეს რა შეკითხვაა, ერდოღანი აქ ცოლთან ერთად ჩამოვიდა"



თურქეთის პრემიერ რეჯეპ ტაიპ ერდოღანთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს პუტინის ხუმრობამ ჟურნალისტების სიცილი გამოიწვია.
ერდოღანს რუსეთში ცოტა ხანში გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებული "გრინფისის" აქტივისტის, გიზემ აქჰანის სიტუაციაზე შეკითხვა დაუსვეს - "რუსეთიდან გასვლის აკრძალვა რომ არა, გიზემ აქჰანს თურქეთში თქვენთან ერთად წაიყვანდით?". ამ დროს პუტინი ჩაერია და იხუმრა: "ბატონი პრემიერი აქ მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა. როგორ თუ მას თან წაიყვანს, ეს რა შეკითხვაა".